

**შპს „ARTLINE WINGS“**

**ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

*2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის*

შპს „ARTLINE WINGS”

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....3-5

### *ფინანსური ანგარიშგება*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....6

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....8

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება .....9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....10-33

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ARTLINE WINGS“-ს ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ARTLINE WINGS“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენი მოსაზრების მოფიდიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ მე-20-ე განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია და დამფუძნებელი აქტიურად ჩართულები არიან რამდენიმე სასამართლო დავაში. აღნიშნული სასამართლო დავების დასრულების შედეგის შეფასება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის რთულია. როგორც მე-20-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ARTLINE WINGS“-ს ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ARTLINE WINGS“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენი მოსაზრების მოფიდიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ მე-20-ე განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია და დამფუძნებელი აქტიურად ჩართულები არიან რამდენიმე სასამართლო დავაში. აღნიშნული სასამართლო დავების დასრულების შედეგის შეფასება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის რთულია. როგორც მე-20-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ

მათ არსზე, ასევე, განვაცხადეთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

16 სექტემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)



ირაკლი ჭილაძე  
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

16 სექტემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

---

ირაკლი ჭილაძე  
გარიგების პარტნიორი

*აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994*

*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი- SARAS-A-509177*

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

|                                          | შენიშვნა | 31-დეკ-2023       | 31-დეკ-2022       |
|------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 7        | 11,167,816        | 8,160,668         |
| არამატერიალური აქტივები                  |          | 63,652            | 66,971            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>11,231,468</b> | <b>8,227,639</b>  |
| მარაგები                                 | 4        | 5,037,466         | 5,198,006         |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5        | 2,562,156         | 2,668,069         |
| სხვა აქტივები                            | 6        | 794,549           | 208,924           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 3        | 639,828           | 362,725           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>9,033,999</b>  | <b>8,437,724</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>20,265,467</b> | <b>16,665,363</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                         | 8        | 14,622,546        | 9,484,057         |
| საიჯარო ვალდებულებები                    | 9        | 2,079,073         | 1,295,447         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>16,701,619</b> | <b>10,779,504</b> |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 10       | 2,519,080         | 3,218,265         |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 11       | 1,385             | 149,459           |
| მიღებული ავანსები                        |          | 325,503           | 374,790           |
| მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი       | 8        | 894,134           | 1,300,110         |
| საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი  | 9        | 728,159           | 545,283           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>4,468,261</b>  | <b>5,587,907</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |          | <b>21,169,880</b> | <b>16,367,411</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       | 12       | 1,302,887         | 1,302,887         |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)            |          | (2,207,300)       | (1,004,935)       |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>(904,413)</b>  | <b>297,952</b>    |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |          | <b>20,265,467</b> | <b>16,665,363</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 10-33 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი

თამარი მაჩიტაძე



მთავარი ბუღალტერი

გიორგი უშვერიძე



10 -33- გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

|                                          | შენიშვნა | 31-დეკ-2023       | 31-დეკ-2022       |
|------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                          |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                     | 7        | 11,167,816        | 8,160,668         |
| არამატერიალური აქტივები                  |          | 63,652            | 66,971            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>11,231,468</b> | <b>8,227,639</b>  |
| მარაგები                                 | 4        | 5,037,466         | 5,198,006         |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5        | 2,562,156         | 2,668,069         |
| სხვა აქტივები                            | 6        | 794,549           | 208,924           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 3        | 639,828           | 362,725           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>9,033,999</b>  | <b>8,437,724</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>20,265,467</b> | <b>16,665,363</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                         | 8        | 14,622,546        | 9,484,057         |
| საიჯარო ვალდებულებები                    | 9        | 2,079,073         | 1,295,447         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>16,701,619</b> | <b>10,779,504</b> |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 10       | 2,519,080         | 3,218,265         |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 11       | 1,385             | 149,459           |
| მიღებული ავანსები                        |          | 325,503           | 374,790           |
| მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი       | 8        | 894,134           | 1,300,110         |
| საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი  | 9        | 728,159           | 545,283           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>4,468,261</b>  | <b>5,587,907</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |          | <b>21,169,880</b> | <b>16,367,411</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                       | 12       | 1,302,887         | 1,302,887         |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)            |          | (2,207,300)       | (1,004,935)       |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>(904,413)</b>  | <b>297,952</b>    |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>     |          | <b>20,265,467</b> | <b>16,665,363</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 10-33 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამარი მაჩიტაძე

გიორგი უშვერიძე

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

|                                              | შენიშვნა | 2023               | 2022             |
|----------------------------------------------|----------|--------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                     | 13       | 21,735,543         | 18,953,593       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        | 14       | (15,358,455)       | (13,991,371)     |
| <b>საერთო მოგება</b>                         |          | <b>6,377,088</b>   | <b>4,962,222</b> |
| მიწოდების ხარჯები                            | 15       | (1,349,615)        | (1,026,088)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები            | 16       | (4,679,296)        | (3,769,595)      |
| არასაოპერაციო ხარჯები                        | 17       | (1,583,640)        | (423,496)        |
| არასაოპერაციო შემოსავლები                    | 18       | 320,612            | 182,098          |
| საკუთრო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)    |          | (369,329)          | 1,878,002        |
| სხვა შემოსავალი                              |          | 84,337             | 39,945           |
| საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/შემოსავალი | 5        | 8,737              | (69,480)         |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>           |          | <b>(1,191,106)</b> | <b>1,773,608</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                    | 19       | (11,259)           | (8,414)          |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>                |          | <b>(1,202,365)</b> | <b>1,765,194</b> |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

|                                                           | შენიშვნა | 2023               | 2022               |
|-----------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>           |          |                    |                    |
| წლის მოგება                                               |          | (1,202,365)        | 1,765,194          |
| <b>კორექტირებები:</b>                                     |          |                    |                    |
| საპროცენტო ხარჯი                                          | 17       | 1,135,631          | 336,340            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                      | 15       | 816,677            | 723,664            |
| უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/(ზარალი)            |          | 369,329            | (1,878,002)        |
| <b>საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:</b>   |          |                    |                    |
| ცვლილება მარაგებში                                        | 4        | 160,540            | 1,148,417          |
| ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში                          |          | (479,712)          | (105,008)          |
| ცვლილება მიღებულ ავანსებში                                |          | (49,287)           | 235,033            |
| ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში                      | 11       | (148,074)          | 74,574             |
| ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში                           | 9        | 966,502            | (672,179)          |
| ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში                         | 10       | (699,185)          | 1,124,287          |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>           |          | <b>870,056</b>     | <b>2,752,320</b>   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>    |          |                    |                    |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>         |          | <b>870,056</b>     | <b>2,752,320</b>   |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | 7        | (3,150,248)        | (5,023,494)        |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                              | 7        | 13,627             | 29,338             |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>  |          | <b>(3,136,621)</b> | <b>(4,994,156)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>            |          |                    |                    |
| სესხების გაცემა/(დაფარვა)                                 |          | 3,451,867          | 2,979,546          |
| საიჯარო ვალდებულებების გადახდა                            | 9        | (908,199)          | (911,298)          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>     |          | <b>2,543,668</b>   | <b>2,068,248</b>   |
| ნაშთი წლის დასაწყისში                                     |          | 362,725            | 536,313            |
| წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში                     |          | 277,103            | (173,588)          |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>             | <b>3</b> | <b>639,828</b>     | <b>362,725</b>     |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

|                                                  | საწესდები<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/(ზარალი) | სულ<br>კაპიტალი    |
|--------------------------------------------------|-----------------------|----------------------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,302,887</b>      | <b>(2,770,129)</b>               | <b>(1,467,242)</b> |
| ცვლილება საწესდებო კაპიტალში                     | -                     | -                                | -                  |
| პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)                  | -                     | 1,765,194                        | 1,765,194          |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,302,887</b>      | <b>(1,004,935)</b>               | <b>297,952</b>     |
| ცვლილება საწესდებო კაპიტალში                     | -                     | -                                | -                  |
| პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)                  | -                     | (1,202,365)                      | (1,202,365)        |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,302,887</b>      | <b>(2,207,300)</b>               | <b>(904,413)</b>   |

## ფინანსური ანგარიშგების გზანმარტებითი შენიშვნები

### შინაარსი

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                  | 11 |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა..... | 11 |
| 3. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                        | 22 |
| 4. მარაგები .....                                                           | 23 |
| 5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან .....                           | 23 |
| 6. სხვა აქტივები .....                                                      | 25 |
| 7. ძირითადი საშუალებები .....                                               | 26 |
| 8. მიღებული სესხები .....                                                   | 27 |
| 9. საიჯარო ვალდებულებები .....                                              | 28 |
| 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                                     | 28 |
| 11. საგადასახადო ვალდებულებები .....                                        | 29 |
| 12. საწესდებო კაპიტალი.....                                                 | 29 |
| 13. შემოსავალი რეალიზაციიდან .....                                          | 29 |
| 14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....                              | 29 |
| 15. მიწოდების ხარჯები.....                                                  | 30 |
| 16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                 | 30 |
| 17. არასაოპერაციო ხარჯები .....                                             | 31 |
| 18. არასაოპერაციო შემოსავლები .....                                         | 31 |
| 19. მოგების გადასახადი .....                                                | 31 |
| 20. გაუთვალისწინებელი გარემოებები .....                                     | 31 |
| 21. პირობითი ვალდებულებები.....                                             | 33 |
| 22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                | 33 |
| 23. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ .....                              | 33 |

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

---

### **1 ზოგადი ინფორმაცია**

შპს „ARTLINE WINGS“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2010 წლის 22 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 445392557. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ზღვისპირა პარკი.

კომპანიის 100% წილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მესაკუთრე არის ბ-ნი შოთა აფხაზავა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გათბობა-გაგრილების სისტემის იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ქვეყნის მასშტაბით 7 საცალო მაღაზია და წარმომადგენლობა თბილისსა და რეგიონებში, კერძოდ: თბილისში, რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 88 თანამშრომელს (2022: 77 თანამშრომელი).

### **2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მეთოდით და არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) მიხედვით.

#### **სააღრიცხვო პოლიტიკა**

##### **შემოსავალი რეალიზაციიდან**

საწარმომ შემოსავალი რეალიზაციიდან უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საწარმომ ამონაგებში არ უნდა გაითვალისწინოს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საწარმო რწმუნებულის როლში გამოდის, საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

---

შპს პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე რისკები და სარგებელი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე.

### **ცვალებადი ანაზღაურება**

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. შპს პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს.

### **დაბრუნების უფლება**

შპს პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს გარკვეულ ვადაში. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი არ დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც კომპანია მიიღებს.

### **სახელშეკრულებო ნაშთები**

#### **სახელშეკრულებო აქტივები**

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

#### **სავაჭრო დებიტორული დავალიანება**

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

|                                       | აშშ დოლარი | ევრო |
|---------------------------------------|------------|------|
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს | 2.69       | 2.98 |
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 2.70       | 2.88 |

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივი პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

### შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

### **ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

### **ფინანსურ ვალდებულებები**

#### **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაპენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

#### **შემდგომი შეფასება**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ინსტრუმენტის გაყიდვისას, ან სხვა ფორმით გასვლისას: (ა) სავალო ინსტრუმენტები, უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს;

(ბ) სესხის მიღების ვალდებულება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით (რომელიც ზოგჯერ წარმოადგენს ნულს), გაუფასურების თანხის გამოკლებით;

(გ) არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები უნდა შეფასდეს შემდეგნაირად :

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- 
- (i) თუ აქციები საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში; და
  - (ii) ყველა სხვა ამგვარი ინვესტიცია უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### **აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

კვალიფიციური აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით კაპიტალიზდება შესაბამის განსაკუთრებულ აქტივზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

| აქტივის ჯგუფი            | ცვეთის განაკვეთი |
|--------------------------|------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები | 10-13%           |
| კომპიუტერული ტექნიკა     | 14%              |
| მანქანა-დანადგარები      | 10%              |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 14%              |

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

### იჯარა

#### **განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას**

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იმის დადგენა, იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ისეთი სიტუაციის მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად განაპირობებს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

(ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ; (ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება; (გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება; (დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და (ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

#### **მოიჯარის ფინანსური ანგარიშგება – ფინანსური იჯარა**

##### **აქტივის გამოყენების უფლება**

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყებიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

##### **ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე**

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

### **მეიჯარის ფინანსური ანგარიშგება – ფინანსური იჯარა**

მეიჯარემ ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივები უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგინოს, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია არის შემდეგი ორი სიდიდის ერთობლიობა: (ა) ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და (ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

### მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მისადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

### საწესდებო კაპიტალი

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

### სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

## 3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

|                                        | 31-დეკ-2023    | 31-დეკ-2022    |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული სალაროში                    | 11,779         | 6,766          |
| ვალუტა რეზიდენტ ბანკში                 | 628,049        | 355,959        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>639,828</b> | <b>362,725</b> |

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                        | 31-დეკ-2023    | 31-დეკ-2022    |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ქართული ლარი (GEL)                     | 372,670        | 312,107        |
| აშშ დოლარი (USD)                       | 266,721        | 37,173         |
| ევრო (EUR)                             | 437            | 13,446         |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>639,828</b> | <b>362,725</b> |

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

## 4 მარაგები

|                     | 31-დეკ-2023      | 31-დეკ-2022      |
|---------------------|------------------|------------------|
| მზა პროდუქცია       | 4,704,370        | 5,198,006        |
| სხვა მარაგები       | 333,096          |                  |
| <b>სულ მარაგები</b> | <b>5,037,466</b> | <b>5,198,006</b> |

## 5 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

|                                                     | 31-დეკ-2023      | 31-დეკ-2022      |
|-----------------------------------------------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან            | 5,015,843        | 5,130,493        |
| გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი             | (2,453,687)      | (2,462,424)      |
| <b>სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან</b> | <b>2,562,156</b> | <b>2,668,069</b> |

კომპანიამ მიზანშეწინილად მიიჩნია საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

| ვადაგადაცილების დღეები                       | < 30   | 31-60  | 61-90 | 91-120 | 121-150 | 151-180 | 181-210  | 211-240 | 241-270  | 271-300 | 301-330     | სულ         |
|----------------------------------------------|--------|--------|-------|--------|---------|---------|----------|---------|----------|---------|-------------|-------------|
| ვადაგადაცილების პროცენტულობა                 | 0%     | 1%     | 2%    | 5%     | 10%     | 20%     | 25%      | 30%     | 35%      | 40%     | 50%         | -           |
| მოთხოვნები                                   | 12,132 | 29,436 | 5,280 | 6,813  | 18,592  | 9,761   | 45,340   | 2,315   | 39,849   | 80      | 4,846,236   | 5,015,843   |
| საექვო ვალების რეზერვი                       | -      | (294)  | (106) | (341)  | (1,859) | (1,952) | (11,335) | (694)   | (13,947) | (32)    | (2,423,118) | (2,453,687) |
| სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 12,132 | 29,142 | 5,174 | 6,473  | 16,733  | 7,809   | 34,005   | 1,620   | 25,902   | 48      | 2,423,118   | 2,562,156   |

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

| ვადაგადაცილების დღეები                       | < 30   | 31-60 | 61-90  | 91-120  | 121-150 | 151-180 | 181-210 | 211-240 | 241-270 | 271-300 | 301-330     | სულ         |
|----------------------------------------------|--------|-------|--------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|-------------|-------------|
| ვადაგადაცილების პროცენტულობა                 | 0%     | 1%    | 2%     | 5%      | 10%     | 20%     | 25%     | 30%     | 35%     | 40%     | 50%         | -           |
| მოთხოვნები                                   | 24,805 | 8,674 | 14,934 | 161,668 | 9,673   | 12,431  | 2,251   | 230     | 6,056   | 12,207  | 4,869,393   | 5,130,493   |
| საექვო ვალების რეზერვი                       | -      | (87)  | (299)  | (8,083) | (967)   | (2,486) | (563)   | (69)    | (2,119) | (4,883) | (2,434,697) | (2,462,424) |
| სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 24,805 | 8,588 | 14,635 | 153,585 | 8,705   | 9,945   | 1,688   | 161     | 3,936   | 7,324   | 2,434,697   | 2,668,069   |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ცვლილება საექვო ვალების რეზერვში**

|                                                    | <b>31-დეკ-2023</b> | <b>31-დეკ-2022</b> |
|----------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის                        | 2,462,424          | 2,392,944          |
| პლიუს: მიმდინარე პერიოდის საექვო ვალები            | (8,737)            | 69,480             |
| მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო ვალები | -                  | -                  |
| <b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>                      | <b>2,453,687</b>   | <b>2,462,424</b>   |

**6 სხვა აქტივები**

|                          | <b>31-დეკ-2023</b> | <b>31-დეკ-2022</b> |
|--------------------------|--------------------|--------------------|
| გადახდილი ავანსები       | 794,549            | 208,924            |
| <b>სულ სხვა აქტივები</b> | <b>794,549</b>     | <b>208,924</b>     |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**7 ძირითადი საშუალებები**

|                                     | მიწა             | სატრანსპორტო<br>საშუალებები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | მანქანა-<br>დანადგარები | ავიჯი და სხვა<br>ინვენტარი | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა* | საიჯარო აქტივის<br>გამოყენების<br>უფლება** | სულ                |
|-------------------------------------|------------------|-----------------------------|-------------------------|-------------------------|----------------------------|------------------------------|--------------------------------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>301,887</b>   | <b>190,013</b>              | <b>118,207</b>          | <b>35,959</b>           | <b>178,350</b>             | <b>655,648</b>               | <b>3,230,036</b>                           | <b>4,710,099</b>   |
| დამატება                            | 3,760,500        | 70,927                      | 27,696                  | 1040                    | 50,475                     | 1,015,582                    | 97,276                                     | 5,023,496          |
| გასვლა                              | -                | (293,38)                    | -                       | -                       | -                          | -                            | -                                          | (29,338)           |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>4,062,387</b> | <b>231,603</b>              | <b>145,903</b>          | <b>36,998</b>           | <b>228,824</b>             | <b>1,671,229</b>             | <b>3,327,313</b>                           | <b>9,704,257</b>   |
| დამატება                            | -                | 84,458                      | 34,808                  | 22,458                  | 148,117                    | 2,156,785                    | 1,347,131                                  | 3,930,358          |
| გასვლა                              | -                | 4,237                       | 8,292                   | -                       | 1,097                      | -                            | -                                          | 13,627             |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>4,062,387</b> | <b>320,298</b>              | <b>189,004</b>          | <b>59,456</b>           | <b>378,038</b>             | <b>3,828,014</b>             | <b>4,674,444</b>                           | <b>13,648,242</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>              |                  |                             |                         |                         |                            |                              |                                            |                    |
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>-</b>         | <b>(33,369)</b>             | <b>(19,502)</b>         | <b>(6,139)</b>          | <b>(23,798)</b>            | <b>-</b>                     | <b>(766,463)</b>                           | <b>(849,271)</b>   |
| დამატება                            | -                | (40,689)                    | (17,534)                | (2,060)                 | (28,882)                   | -                            | (626,581)                                  | (715,746)          |
| გასვლა                              | -                | 21,429                      | -                       | -                       | -                          | -                            | -                                          | 21,429             |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>-</b>         | <b>(52,629)</b>             | <b>(37,036)</b>         | <b>(8,199)</b>          | <b>(52,679)</b>            | <b>-</b>                     | <b>(1,393,044)</b>                         | <b>(1,543,588)</b> |
| დამატება                            | -                | (39,833)                    | (22,017)                | (3,078)                 | (40,095)                   | -                            | (703,622)                                  | (808,646)          |
| გასვლა                              | -                | 3,446                       | 4,376                   | -                       | 587                        | -                            | -                                          | 8,409              |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>-</b>         | <b>(89,016)</b>             | <b>(54,677)</b>         | <b>(11,278)</b>         | <b>(92,188)</b>            | <b>-</b>                     | <b>(2,096,667)</b>                         | <b>(2,343,825)</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>           |                  |                             |                         |                         |                            |                              |                                            |                    |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>301,887</b>   | <b>156,644</b>              | <b>98,705</b>           | <b>29,819</b>           | <b>154,552</b>             | <b>655,648</b>               | <b>2,463,573</b>                           | <b>3,860,828</b>   |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>4,062,387</b> | <b>178,974</b>              | <b>108,867</b>          | <b>28,799</b>           | <b>176,145</b>             | <b>1,671,229</b>             | <b>1,934,268</b>                           | <b>8,160,668</b>   |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>       | <b>4,062,387</b> | <b>231,282</b>              | <b>134,327</b>          | <b>48,178</b>           | <b>285,851</b>             | <b>3,828,014</b>             | <b>2,577,777</b>                           | <b>11,167,816</b>  |

\* დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს სასტუმროს შენობას ქ. ბათუმში ;

\*\* საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შენობებს.

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**8 მიღებული სესხები**

|                             | 31-დეკ-2023       | 31-დეკ-2022       |
|-----------------------------|-------------------|-------------------|
| გადასახდელი ძირი            | 14,758,534        | 10,539,859        |
| გადასახდელი პროცენტი        | 198,889           | 244,308           |
| <b>სულ მიღებული სესხები</b> | <b>14,957,423</b> | <b>10,784,167</b> |

**31-დეკ-2023**

| გრძელვადიანი ნაწილი  | პერიოდი               | საპროცენტო განაკვეთი | კურსი      | თანხა ლარში       |
|----------------------|-----------------------|----------------------|------------|-------------------|
| სს თიბისი ბანკი      | 27.01.2023-14.01.2023 | 5,40%                | ევრო       | 737,238           |
| სს თიბისი ბანკი      | 27.01.2023-07.02.2033 | 6,50%                | ევრო       | 3,403,214         |
| სხვა ფიზიკური პირები | 29.11.2019-19.12.2028 | 7,40%                | აშშ დოლარი | 9,723,948         |
| <b>სულ</b>           |                       |                      |            | <b>13,864,400</b> |

| მიმდინარე ნაწილი | პერიოდი               | საპროცენტო განაკვეთი | კურსი | თანხა ლარში    |
|------------------|-----------------------|----------------------|-------|----------------|
| სს თიბისი ბანკი  | 27.01.2023-14.01.2023 | 6,50%                | ევრო  | 588,641        |
| სს თიბისი ბანკი  | 27.01.2023-07.02.2033 | 6,50%                | ევრო  | 305,494        |
| <b>სულ</b>       |                       |                      |       | <b>894,134</b> |

**31-დეკ-2022**

| გრძელვადიანი ნაწილი   | პერიოდი               | საპროცენტო განაკვეთი | კურსი      | თანხა ლარში      |
|-----------------------|-----------------------|----------------------|------------|------------------|
| სს ტერა ბანკი         | 09/08/2021-10/5/2024  | 5,40%                | ევრო       | 465,055          |
| სს ტერა ბანკი         | 28/12/2022-28/02/2032 | 6,50%                | ევრო       | 2,831,539        |
| სს ტერა ბანკი         | 16/05/2022-16/05/2026 | 8,00%                | აშშ დოლარი | 118,569          |
| სხვა იურიდიული პირები | 29/11/2019-29/11/2029 | 7,40%                | აშშ დოლარი | 5,824,585        |
| <b>სულ</b>            |                       |                      |            | <b>9,239,748</b> |

| მიმდინარე ნაწილი | პერიოდი               | საპროცენტო განაკვეთი | კურსი | თანხა ლარში      |
|------------------|-----------------------|----------------------|-------|------------------|
| სს ტერა ბანკი    | 09/08/2021-10/5/2024  | 5,40%                | ევრო  | 1,074,185        |
| სს ტერა ბანკი    | 28/12/2022-28/02/2032 | 6,50%                | ევრო  | 225,925          |
| <b>სულ</b>       |                       |                      |       | <b>1,300,110</b> |

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 9 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას საკუთარი საქმიანობის ფარგლებში გაფორმებული აქვს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებები შენობებზე და მაღაზიებზე. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და შეწყვეტის უფლებას და ცვალებად საიჯარო გადახდებს.

|                                                 |                  |
|-------------------------------------------------|------------------|
| <b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>2,512,909</b> |
| შემოსვლები                                      | 69,083           |
| შემოსვლები/ზარალი იჯარის მოდიფიკაციისგან        | -                |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე         | 170,036          |
| საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები | (911,298)        |
| <b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>1,840,730</b> |
| შემოსვლები                                      | 1,347,131        |
| შემოსვლები/ზარალი იჯარის მოდიფიკაციისგან        | 333,666          |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე         | 193,905          |
| საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები | (908,199)        |
| საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა         | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>2,807,233</b> |

### 10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                | 31-დეკ-2023      | 31-დეკ-2022      |
|------------------------------------------------|------------------|------------------|
| ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ | 676,606          | 965,079          |
| ვალდებულებები უცხოური მომწოდებლების მიმართ     | 1,689,384        | 2,138,288        |
| სხვა ვალდებულებები                             | 153,090          | 114,973          |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>       | <b>2,519,080</b> | <b>3,218,265</b> |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**11 საგადასახადო ვალდებულებები**

|                                       | 31-დეკ-2023  | 31-დეკ-2022    |
|---------------------------------------|--------------|----------------|
| დამატებული ღირებულების გადასახადი     | 1,385        | 149,459        |
| <b>სულ საგადასახადო ვალდებულებები</b> | <b>1,385</b> | <b>149,459</b> |

**12 საწესდებო კაპიტალი**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,302,887 ლარს (2022: 1,302,887 ლარი).

**13 შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                      | 2023              | 2022              |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან | 22,080,615        | 19,379,358        |
| საქონლის დაბრუნება/ფასდათმობა        | (345,071)         | (425,765)         |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>  | <b>21,735,543</b> | <b>18,953,593</b> |

**14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        | 2023              | 2022              |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        | 15,358,455        | 13,991,371        |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>15,358,455</b> | <b>13,991,371</b> |

**შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**15 მიწოდების ხარჯები**

| მიწოდების ხარჯები             | 2023             | 2022             |
|-------------------------------|------------------|------------------|
| მარკეტინგული ხარჯი            | 643,686          | 436,873          |
| საშუამავლო მომსახურების ხარჯი | 423,185          | 350,131          |
| სერვისის მომსახურების ხარჯი   | 149,172          | 112,111          |
| საწვავის ხარჯი                | 92,999           | 92,483           |
| მიწოდების სხვა ხარჯები        | 40,573           | 34,490           |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები</b>  | <b>1,349,615</b> | <b>1,026,088</b> |

**16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                                                     | 2023             | 2022             |
|-----------------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                                  | 3,136,438        | 2,439,055        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                | 816,677          | 723,664          |
| სამეურნეო-სარემონტო ხარჯები                         | 138,074          | 61,496           |
| საბანკო ხარჯი                                       | 106,184          | 85,888           |
| კომუნალური ხარჯები                                  | 74,182           | 63,005           |
| საკომუნიკაციო ხარჯები                               | 54,136           | 43,662           |
| მივლინების ხარჯები                                  | 63,852           | 42,165           |
| დაზღვევის ხარჯი                                     | 44,653           | 38,923           |
| სხვა საგადასახადო ხარჯები                           | 44,517           | 26,010           |
| პროფესიული მომსახურების ხარჯი                       | 44,249           | 131,810          |
| დაცვის ხარჯი                                        | 10,558           | 8,851            |
| საოფისე ხარჯი                                       | 4,856            | 5,362            |
| საკანცელარიო ხარჯი                                  | 5,633            | 4,976            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                        | 135,286          | 94,727           |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</b> | <b>4,679,296</b> | <b>3,769,595</b> |

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 17 არასაოპერაციო ხარჯები

| არასაოპერაციო ხარჯები            | 2023             | 2022           |
|----------------------------------|------------------|----------------|
| საპროცენტო ხარჯები               | 1,135,631        | 336,340        |
| ზარალი იჯარის მოდიფიკაციისგან    | 169,774          | -              |
| მარაგების ზედმეტობის ჩამოწერა    | 143,871          | -              |
| დარიცხული ჯარიმა                 | 39,583           | 7,544          |
| უსასყიდლო რეალიზაციის ჩამოწერა   | 25,519           | 16,124         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები       | 69,261           | 63,488         |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯები</b> | <b>1,583,640</b> | <b>423,496</b> |

### 18 არასაოპერაციო შემოსავლები

| არასაოპერაციო შემოსავლები        | 2023           | 2022           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| მარაგების ზედმეტობა              | 5,564          | 8,385          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები   | 315,048        | 173,713        |
| <b>არასაოპერაციო შემოსავლები</b> | <b>320,612</b> | <b>182,098</b> |

### 19 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს 11,259 ლარს (2022: 8,414 ლარს).

### 20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება.

## **შპს „ARTLINE WINGS“**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **მიმდინარე სასამართლო დავები**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა:

#### **მოსარჩელე კომპანია:**

- 1) სამართალწარმოება #1 - შპს „საგა იმპექსის“ (მოპასუხე) გადახდისუუნარიანობის საქმეში კომპანია აღიარებულია, როგორც მე-6 რიგის კრედიტორი. კომპანიის მიერ მოთხოვნილი დავალიანება შეადგენს 3,221,045 ლარს, რომელიც რეაბილიტაციის გეგმით მისაღებია 2031-2032 წლებში.
- 2) სამართალწარმოება #2 - შპს „საგა იმპექსის“ (მოპასუხე) ლიზინგის მიმდინარე დავალიანების ანაზღაურება, თავდები პირების მიერ. სასარჩელო თანხა შეადგენს 1,000,000 აშშ დოლარს.

ამ სამართალწარმოების ფარგლებში მოპასუხემ მხარემ წარადგინა შემხვედრი სარჩელი, რომლის დავის საგანი არის ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტის უკანონოდ აღიარება და თავდების ვალდებულების შეწყვეტილად აღიარება.

- 3) სამართალწარმოება #3 –

- კომპანიის მიერ ლიზინგით მიღებული საგნების უკან დაბრუნება შპს „საგა იმპექსი“-თვის. სასარჩელო თანხა შეადგენს 1,173,281 ლარს.

- ARISTON-ის ბრენდის კომპანიაში „გადატანით“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასარჩელო თანხა შეადგენს 692,756 ლარს.

2024 წლის 18 ივლისს მოსარჩელე კომპანიამ -შპს „საგა იმპექსის“ მიერ წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული სარჩელი, კომპანიისა და დამფუძნებლების მიმართ თანხის მოთხოვნის ფარგლებში., მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, კერძოდ აეკრძალა მოპასუხეს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

## შპს „ARTLINE WINGS“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 21 პირობითი ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები სს „ტერაბანკთან“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 330,000 აშშ დოლარი და სს „თიბისი“ ბანკთან შესაბამისად, 420,000 აშშ დოლარი. (2022: 850,000 აშშ დოლარი სს „ტერაბანკთან“).

### 22 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

| ტრანზაქციები:                            | 2023               | 2022               |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ხელფასის ხარჯი                           | 76,060             | 67,869             |
| გაყიდვები                                | 12,423             | 6,940              |
| შესყიდვები                               | -                  | 80,838             |
| საპროცენტო ხარჯი                         | 599,258            | -                  |
| <b>ნაშთები :</b>                         | <b>31-დეკ-2023</b> | <b>31-დეკ-2022</b> |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 3,447,507          | 3,455,025          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 642                | 5,273              |
| მიღებული სესხები                         | 9,733,948          | 5,824,585          |

### 23 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

# Artline Wings

მმართველობითი  
ანგარიში

2023

## ARTLINE WINGS - კომპანიის შესახებ ინფორმაცია

კომპანია „ARTLINE WINGS“-ი შეიქმნა 2010 წელს. მისი მფლობელია შოთა აფხაზავა (100%), რომელიც საქართველოში ცნობილია როგორც ინვესტორი, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომისა და ბათუმის ჩოგბუთის კლუბის მფლობელი, ტიტულოვანი ავტოსპორტსმენი და ბიზნესმენი.

„ARTLINE WINGS“-ის შექმნის მიზანი იყო სასტუმროს მშენებლობა ბათუმში, აეროპორტის მიმდებარედ. კომპანიამ შეისყიდა მიწის ნაკვეთი და წამოიწყო მშენებლობა, თუმცა, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, 2012 წელს მშენებლობა შეჩერდა და მოხდა კომპანიის კონსერვაცია.

2020 წელს დამფუძნებელმა გადაწყვიტა ფუნქციონირების განახლება **გათბობა-გაგრილების სისტემების ვაჭრობის მიმართულებით**. ARTLINE WINGS-ის კაპიტალში განხორციელდა ინვესტიციები, კომპანია ცნობილი იტალიური კომპანიის Ariston Thermo SpA-ს ოფიციალური დილერი გახდა საქართველოში, შეიქმნა ბრენდი „ცელსიუსი“, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ლიდერ კომპანიას თავის სეგმენტში.

2022 წლიდან „ARTLINE WINGS“-მა განაახლა სასტუმროს მშენებლობა ბათუმში, რომელიც 2024 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს და დაიწყოს ოპერირება HORECA სექტორში.

2023 წელს „ARTLINE WINGS“-მა შეიძინა მიწის ნაკვეთი თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, სადაც იგეგმება **თანამედროვე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობა**.

აღნიშნული პროექტები სრულად ფინანსდება დამფუძნებლის მიერ, ხოლო ბაზარზე მზარდი დინამიკით ვითარდება „ცელსიუსი“ - გათბობა-გაგრილების სისტემების ქსელი საქართველოში.

### კომპანიის მართვის სტრუქტურა

კომპანიის მართვის სტრუქტურა არის ვერტიკალური; კომპანიის სათავეშია საწარმოს დირექტორი, რომლის ქვეშაც მოქცეულია 3 დეპარტამენტი შესაბამისი სამსახურებით. ასევე ბათუმში მიმდინარე სასტუმროს სამშენებლო პროექტი წარმოადგენს ცალკე სტრუქტურულ ერთეულს; კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, ვინაიდან ის წარმოადგენს 1 პირის საკუთრებას; დამფუძნებელს დანიშნული ჰყავს პირადი წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს კომპანიის პროექტების სტრატეგიულ დაგეგმვასა და მონიტორინგს;

რისკების შემცირებისა და ბიზნესის დივერსიფიკაციის მიზნით „ARTLINE WINGS“-ს აქვს 3 მიმდინარე პროექტი, რომელთა მიზნებია:

#### 1) „ცელსიუსი“

- ბაზრის წილის გაზრდა გათბობა-გაგრილების სფეროში
- სამომხმარებლო ბაზრის ყველა საფასო სეგმენტის ათვისება და ადგილობრივი მომწოდებლების იმპორტით ჩანაცვლება
- გაყიდვის შემდგომი მომსახურების მაღალი სტანდარტის განვითარება/შენარჩუნება

#### 2) სასტუმროს მშენებლობა ბათუმის აეროპორტში

- სასტუმროს მშენებლობის გეგმიური ტემპის შენარჩუნება
- საერთაშორისო მმართველი კომპანიის მოძიება

#### 3) ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობისთვის საპროექტო სამუშაოების დაწყება

## ცელსიუსი - კომერციული საქმიანობის მიმოხილვა

კომერციული დეპარტამენტი ყველაზე მსხვილი სტრუქტურული ერთეულია კომპანიაში და მოიცავს მოთხოვნა-მიწოდების სრულ ჯაჭვს, ჯამში 8 სამსახურს. დეპარტამენტში მუშაობს 73 ადამიანი. მათი დიდი უმრავლესობა გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტია.

### კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი მომენტები:

- 2023 / 11 ახალი ფილიალის გახსნა თბილისში (ყაზბეგის 46)
- 2023/ 06 რეორგანიზაციის შედეგად აქტივების გაერთიანება და გრძელვადიანი ინვესტიციების ბალანსზე მიწის ნაკვეთის აყვანა ღირებულებით- 3 760 500 ლ.
- 2023 / 03 ახალი ფილიალის გახსნა თბილისში (ჯავახეთის 64)
- 2023/01 ახალ მომწოდებელთან პარტნიორობის დაწყება (CHIQ) (კონდიციონერების მწარმოებელი ჩინეთში)
- 2023 წლის რეალიზაციის დასახული გეგმა (28 მლნ ლარი დღგ-ს ჩათვლით) შესრულდა 92%-ით, დასტაბილურდა ურთიერთობა შიდა თუ გარე მომწოდებლებთან, გაუმჯობესდა მარჟა, - რასაც ხელი შეუწყო საცალო ქსელის გაფართოვებამ დედაქალაქში, საბითუმო რეალიზატორებთან პოზიციების გამყარებამ და ბრუნვის გაზრდამ პროდუქციის გამრავალფეროვნების ხარჯზე.

### მიზნები:

- კომპანიის ლიდერობის შენარჩუნება და გაგრძელების სეგმენტის ადგილობრივი მომწოდებლის იმპორტით ჩანაცვლება
- ბრუნდის (ცელსიუსი) ცნობადობის გაზრდა
- წლის გეგმის შესრულება (28,000,000 მილიონი ლარი დღგ-ს ჩათვლით) და საერთო მარჟის გაზრდა
- საცალო ქსელის გაფართოება

### ბრუნდის პოზიციონირება წლის ბოლოს:

- საცალო მაღაზიების რაოდენობა - 8 ; ასევე 1 შოურუმი საწყობში;
- დილერების და კორპორატიული კლიენტების რაოდენობა - 200-მდე
- თანამშრომელთა რაოდენობა - 100
- დაქირავებულ ხელოსანთა/მემონტაჟეთა რაოდენობა - 45
- ბაზრის მოცვა -15%

#### შესრულება:

- რეალიზაციის გეგმა შესრულდა 91.6%-ით რამაც შეადგინა 25,650 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- წლის საერთო მარჟა გაიზარდა 29%-მდე (2022- წელს მარჟა 26,2%)
- საცალო ქსელს 2023 წელს დაემატა თბილისში 2 (ორი) მაღაზია - ვარკეთილში და საბურთალოზე.

### ბაზრის კვლევის შედეგები

- 2023 წლის აპრილში ჩატარდა ცენტრალური გათბობის ქვაბებისა და კონდიციონერების საცალო ბაზრის კვლევა.
- მიზანი: ცენტრალური გათბობის ქვაბებისა და კონდიციონერების გამყიდველი მაღაზიებისა და მწარმოებელი ბრენდების ცნობადობის, სამომხმარებლო წილების, ცენტრალური გათბობის ქვაბების მაღაზიებისა და ბრენდების შერჩევის ფაქტორების და ბარიერების დადგენა;
- გამოიკითხა 18+ ასაკის მოსახლეობა, ვინც თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში შეიძინა ცენტრალური გათბობის ქვაბი ან კონდიციონერი ბოლო 3 წელში.

- ბაზრის კვლევამ გამოაჩინა კომპანიის ადგილი სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით, ასევე უპირატესობები და ნაკლოვანებები საფასო და ასორტიმენტის ნაწილში.
- საერთო ჯამში ბრენდის ცნობადობა გაზრდილია წინა წელთან შედარებით 2-ჯერ;

## SWOT ანალიტიკა

### ძლიერი მხარეები

- ❖ Ariston - ჩვენი კომპანია წარმოადგენს ოფიციალური დილერს საქართველოში, რაც ჩვენი ძლიერი მხარეა, რადგან მომხმარებლებში სარგებლობს მაღალი ნდობით და ასოცირდება ხარისხთან,
- ❖ არისტონის ოფიციალური წარმომადგენლობა სასერვისო მომსახურების მიმართულებით ასევე განაპირობებს მაღალ რეპუტაციას.
- ❖ დავით ნავროზაშვილი - ყველაზე ეფექტური სელერია, სარგებლობს მაღალი რეპუტაციით და გამოირჩევა გაყიდვების გეგმების გადაჭარბებით შესრულებით.

### სუსტი მხარეები

- ❖ ფასების რყევა
- ❖ ხელოსნების/შუამავლების კონტინგენტის სიმცირე

### საფრთხეები

- ❖ ფასების ზრდა - მსოფლიოში ნედლეულის ზრდამ გამოიწვია პროდუქციის ფასების მატება.
- ❖ გარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები

### უპირატესობები

- ❖ **ცნობილი ბრენდების პროდუქციით ვაჭრობა** - გარდა არისტონისა, ცელსიუსს თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო ბრენდებთან, რომელთა ხარისხი ძალიან მაღალია და ქმნის უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით.
- ❖ **ცელსიუსი ახალი კომპანიაა ბაზარზე**, რომელიც კარგად პოზიციონირებს მედიაში; მუდმივი სიახლეები, ხარისხიანი პროდუქცია, კარგი ვიზუალი და გამართული კომუნიკაცია იზიდავს მომხმარებელს.


## შესყიდვების სამსახური

2023 წლის შესყიდვების გეგმის შესრულება მოხერხდა 98,7%-ით ცელსიუსი წლის განმავლობაში აგრძელებდა შემდეგი ბრენდების იმპორტირებას:

- ARISTON (იტალია) - შესყიდვის გეგმა - 3 (სამი) მილიონი ევრო, შესრულდა 100%-ით. არისტონის ასორტიმენტი გაიზარდა და დაემატა შემდეგი პროდუქციები:
  - გაზის მყისიერი წყლის გამაცხელებელი (კალონკა)
  - გაზის ტევადური წყლის გამაცხელებელი (ბაკი)
- WARMHAUS (თურქეთი) - პანელური რადიატორები და საშრობები.
- KAS (თურქეთი) – PPR პოლიპროპილენის წყლის მილები;
- TIEMME (იტალია) - რადიატორის სარქველები, კოლექტორები
- ANKALIP (თურქეთი) - საკვამურები, ფასმა მოიმატა, ასევე გაგვზარდა ბრუნვა ქვაბების რეალიზაციის ხარჯზე.
- CHANGHONG-CHIQ (ჩინეთი) - 2023 წელს შესყიდვების სამსახურმა ხელშეკრულება გააფორმა ახალ მწარმოებელთან- CHANGHONG კონდიციონერების შესყიდვის მიზნით. ცელსიუსისთვის ეს არის პირველი იმპორტი გაგრილების მიმართულებით, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა.

#### ადგილობრივი შესყიდვები:

- VANWARD (მწარმოებელი: ჩინეთი, მომწოდებელი: ბაუმერ ტრეიდიנגი) – გაზის წყლის გამაცხელებლები; 2022 წელთან შედარებით 2023 წლის შესყიდვები გაიზარდა 297%-ით;
- AKOG – (მწარმოებელი: უკრაინა, მომწოდებელი: T-5) - კონვექტორები - გაზის გამათბობლების მიმართულებით ბაზარზე ვხვდებით მონოპოლიას, რადგან გაზის მოწყობილობებზე რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ სულ სამმა კომპანიამ მოახერხა სტანდარტების დაკმაყოფილება. ყველაზე ხელსაყრელი ფასი მათ შორის აქვს უკრაინულ ბრენდს AKOG-ს; 2023 წელს 2022 წელთან შედარებით შესყიდვები გაიზარდა 48%-ით;
- GLOBAL - (მწარმოებელი: იტალია; მომწოდებელი: თერმოსტრინი) \_ სექციური რადიატორები 2023 წელს GLOBAL-ის შესყიდვები 25%-ით გაიზარდა.
- VESBO – (მწარმოებელი: თურქეთი; მომწოდებელი: თერმორუმი); 2023 წლის შესყიდვები 3% ით გაიზარდა.



#### საბაზო გაყიდვების სამსახური

საბაზო ქსელი მოიცავს საქართველოს რეგიონებს, ფილიალები წარმოდგენილია შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, თელავი, ზუგდიდი და ქუთაისი, ასევე თბილისში 4 მაღაზიას სხვადასხვა რაიონში; საბაზო გაყიდვების სამსახური აერთიანებს 28 თანამშრომელს;

საბაზო ქსელის წლიური გეგმა შერულდა 92%-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მიმდინარე წლის განმავლობაში ხშირად ტარდებოდა ტექნიკური ტრენინგები ახალი თანამშრომლებისათვის, რაც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და გახდეს კიდევ უფრო ინტენსიური

2023 წლის სექტემბერში ჩატარდა შეხვედრები ხელოსნებთან რეგიონებსა და თბილისში. საბოლოო ჯამში აღნიშნულმა შეხვედრებმა დადებითად იმოქმედა ხელოსნებთან თანამშრომლობაზე და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბრუნვა;

#### საბაზო პროექტებისა და მონტაჟის გაყიდვის სამსახური - დავით ნავროზაშვილი

სამსახური ორიენტირებულია საბაზო პროექტების მოძიებასა და პროდუქციის რეალიზაციაზე. ასევე მას ევალება კვალიფიციური კონტრაქტორი ხელოსნებით კლიენტებთან კომუნიკაცია და მომსახურების გაწევა.

სამსახური ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა გეგმას, მიუხედავად შედარებით გაძლიერებული საბაზო გაყიდვების სამსახურისა, რაც ქმნის შიდა კონკურენციას. 2023 წლის გეგმის შესრულება - 93%

#### საბითუმო გაყიდვების სამსახური

საბითუმო სამსახურს ევალება პროდუქციის დისტრიბუცია/მიწოდება დილერებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე დილერებთან ნაშთების კონტროლი, ხელშეკრულებების მოწესრიგება, ლიმიტების დადგენა, დავალიანებების კონტროლი, კონკურენციის გადანაწილება და ბაზართან

მიმართებით დარეგულირება, ფასების კონტროლი, აქციების დაგეგმვა, ტრენინგები, ახალი დილერების მოძიება და ა.შ.

სამსახურში დასაქმებულია 11 ადამიანი, რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმით, გუნდურობით, შედეგზე ორიენტიაციით და საერთო მიზნისკენ მეგობრული და კოლეგიალური სვლით.

წლის ჭრილში გეგმა შესრულდა 93%-ით, 2022 წელთან შედარებით 2023 წელს რეალიზაცია გაიზარდა 12.2% ით

**პარტნიორები** - ჰიპერმარკეტების ქსელებში გაყიდვების წილი 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 19%-ით, აქედან განსაკუთრებული ზრდა ქონდა „ნოვას“, რომელმაც მთელი საქართველოს მასშტაბით დაამატა არაერთი საცალო ჰიპერმარკეტი და ბაზარზე საკმაოდ გაიმყარა პოზიციები, თუმცა სამშენებლო ჰიპერმარკეტ „დომინოს“ ბრუნვით ჯერ ვერ გაუსწრო.

სხვა დილერებიდან აღსანიშნავია: შპს „თბილი კუთხე“ და შპს „კლიმატ კონტროლი“, იმერეთში გამოირჩევა შპს „ეკოლ გრუპი“, აჭარის რეგიონში შპს „ინტერკლიმატი“.

### კორპორაციული გაყიდვების სამსახური

კორპორაციული გაყიდვების სამსახურის ძირითად ფუნქცია-მოვალეობაა: კორპორაციული კლიენტების მოძიება და მოზიდვა;

ტოპ 5 კლიენტი: M2 , ანაგი, ალიანსი პრივილეჯი, ბალტიის ბიზნეს განვითარება და ნიკა 80 .

### ტექნიკური სერვისი (გაყიდვის შემდგომი მომსახურება)

სერვისის სამსახურის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებში შედის: მომხმარებელთა მომსახურება რეალიზაციის შემდგომ; ახალი ქვების ჩართვა, საგარანტიო მომსახურება, არასაგარანტიო მომსახურება. მიღებული ახალი პროდუქციის გატესტვა, დასკვნის მომზადება და შესაბამისი სამსახურების ინფორმირება. სერვისის სამსახურში დასაქმებულები არიან სერვისის სპეციალისტები, რომლებიც სერტიფიცირებულ, უმაღლესი კლასის სპეციალისტებს წარმოადგენენ და თავად არიან ხელოსანთა და ცელსიუსის გაყიდვების გუნდის ტრენერები;

### ქოლ-ცენტრი


ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია:

- შემოსული ზარების ჯამური წლიური რაოდენობა: 14700 ზარი;
- აქედან გამოძახებების რაოდენობა: 7030 ზარი;
- მომხმარებლების კმაყოფილების გამოკითხვა: 1753 ზარი;

2023 წელს 2022 წელთან შედარებით 35%-ით გაიზარდა ქოლ-ცენტრის მიერ მიღებული ზარების რაოდენობა. 2022 წელს ჯამურად 10883 ზარი მივიღეთ, ხოლო 2023 წელს - 14700.

მომართვიანობა შემდეგი მიმართულებებით დაფიქსირდა:

- სერვისი - დაახლოებით 19.5% (2022 წელს - 5878 ზარი, 2023 წელს - 7030);
- აქცია - 49% (2022 წელს - 3721 ზარი იყო, 2023 წელს - 5550);
- პროდუქცია - 75% (2022 წელს 1109 ზარი, 2023 წელს - 1940);



**უკუკავშირი:** მიღებული სერვისით კმაყოფილების შეფასება:

ცელსიუსი მუდმივად ატარებს მომხმარებელთა კმაყოფილების სატელეფონო კვლევას; ამ მიზნით განხორციელებული ზარების რაოდენობამ 1754 ზარი შეადგინა, საიდანაც უკმაყოფილების მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა. რომელიც დაუყოვნებლივ აღმოიფხრა.

### ლოგისტიკის სამსახური

სამსახურის ძირითადი სამუშაო ფუნქცია-მოვალეობაა სასაწყობო ნაშთების მართვა და კონტროლი, პროდუქციის დოკუმენტაციის პროგრამული ნაშთების რეალურთან შედარების პროცესის ორგანიზება/უზრუნველყოფა და გამართული **დისტრიბუციის უზრუნველყოფა**.

2023 წლის მანძილზე ლოგისტიკური საქმიანობა მიმდინარეობდა გამართულად. ტვირთების ტრანსპორტირების ციკლი, პროცესის კონტროლი, ხორციელდებოდა რეგულარულად შეფერხების გარეშე.

2023 წელს ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანმა ზრდამ შექმნა ტვირთის დასაწყობების პრობლემა. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად სამსახურმა უზრუნველყო საწყობის სტელაჟური სისტემით აღჭურვა, რამაც შეამცირა საწყობის გამოყენებული ფართობი და ტვირთების უკეთესად დახარისხების და განთავსების საშუალება მოგვცა.

კანონის შესაბამისად მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მონიტორინგი და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მათი დროულად აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

მარაგების კონტროლი და ინვენტარიზაცია სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ყოველკვირულად. ინვენტარიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა შტრიხკოდების სისტემის დანერგვამ. ეს ყოველივე პოზიტიურად აისახა შემაჯამებელი წლიური ინვენტარიზაციის შედეგებზე.

## მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

მარკეტინგის სტრატეგია 2023 წელს მოიცავდა როგორც გარე, ისე შიდა აქტივობებს, რაც მიმართული იყო ცელსიუსის ბრენდის ცნობადობის ამაღლებისა და იმიჯის გამყარებისკენ.

- 2023 წლის განმავლობაში მარკეტინგულად შეიფუთა 4 ფილიალი, ასევე, მაღაზიებში მუდმივად მიმდინარეობს გასაახლებელი სამუშაოები ვიზუალების დახვეწის და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.
- კომპანიის თანამშრომლებისთვის შემუშავდა განახლებული სამუშაო ფორმების ვიზუალი, როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის სეზონისთვის. გათვალისწინებული იქნა ყველა მიმართულების თანამშრომელი;

- კომპანიის ცნობადობა მიმდინარე წელს თითქმის ყველა სეგმენტს შეეხო (დაგეგმილი და შესრულებული მარკეტინგული ბიუჯეტის გათვალისწინებით), რაც 3 წლის კომპანიისთვის არაჩვეულებრივი შედეგია.
- ცნობადობის კუთხით „ცელიუსმა“ გაასწრო ბევრ გამოცდილ და კონკურენტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით. მარკეტინგულად დაგეგმილ სტრატეგიას და მესიჯბოქსს ფეხი აუწყო კომპანიის თითოეულმა თანამშრომელმა და ბაზარზე გავრცელდა სწორედ ის შეტყობინებები პროდუქციაზე, მომსახურების სტანდარტსა და სერვისზე, რაც სტრატეგიის დაგეგმვისას იყო გათვალისწინებული.

#### ტელე-რადიო მიმართულებები:

- რეიტინგული შოუების შერჩევა (ვიზუალის აწყობა, მონტაჟი); ამინდის სპონსორობა, ტელე-სიუჟეტები; სტუმრობა სხვადასხვა ტელე-რადიო მიმართულებით, ანონსები, სატელევიზიო და რადიო რგოლების ტექსტების შექმნა, დამზადება, დამუშავება და გაშვების კონტროლი.
- საეთერო ბადის დაგეგმარება და ფასების კონტროლი (სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით).
- ტელეიშედი - გადაცემა „კუნძული“ - წარმდგენი 1 პოზიცია. 3 თვის განმავლობაში რეიტინგით პირველი ტელევიზიის ეთერში აქტიურად გადიოდა სარეკლამო რგოლი დღის სხვადასხვა მონაკვეთში;
- რუსთავი 2 – „შეფების ლიგა“ -სპონსორი- სარეკლამო რგოლებით - 4 თვის განმავლობაში, ყოველ პარასკევს კულინარიული შოუ . გადიოდა ტიხრები, როგორც პროექტის ფარგლებში, ასევე სხვა პრაიმთაიმ დროში.

#### აუთდორ ბანერები და აქტივობები:

- განთავსდა სარეკლამო ბანერები ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციაზე;
- ტრანსპორტის ბრენდინგი - კომპანიის იმიჯის ნაწილია შიდა გადაადგილებისთვის არსებული ავტოპარკი. პერიოდულად ზიანდება დასტიკერებული მანქანები. ხდება განახლება ან ახალი ავტომობილის შეძენისას მისი ბრენდინგი.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბრენდინგი - მუნიციპალური 12 სამარშრუტო ტაქსი თბილისში ყველაზე გრძელ მარშრუტებზე.

#### ჩატარებული ღონისძიებები:

- მარკეტინგის სამსხურის მიერ წლიე განმავლობაში ჩატარდა 10-ზე მეტი სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის სოციალური კამპანიები, რომლებიც აქტიურად გაშუქდა მედიაში;

#### დიჯიტალ ნაწილი:

- 2023 წლის დასაწყისში დაიგეგმა ახალი საიტის შექმნა და ჩაშვება. კომპანია ბაზარზე ოპერირებს, როგორც მაღალი სეგმენტის კომპანია, რომელსაც სათანადო მრავალფუნქციური საიტი ესაჭიროება, შესაბამისად, მარკეტინგის გუნდის ინიციატივით ახალ საიტზე დაიწყო მუშაობა, რომელიც ამ ეტაპზე კვლავ დამუშავებას გადის საბოლოოდ საუკეთესო შედეგის მისაღებად. სავარაუდო საბოლოო გაშვების ვადაა 2024 წლის მარტი.
- დამზადდა ახალი ვიდეორგოლები დიჯიტალ სივრცისთვის;
- დამზადდა CHiQ-ის ბრენდზე 2 განსხვავებული ვიდეორგოლი, ჩვენს პროდუქციაზე 1 ახალი საიმიჯო გრაფიკული ვიდეორგოლი;

**Facebook აქტივობები:** კონტენტის შექმნა, განთავსების დროის და სეგმენტების სწორი გათვლა ბიუჯეტის გათვალისწინებით;

- Lincked-in პერიოდული საქმიანი სტატიების და პოსტების განსაზღვრა/ჩაშვება.
- Google-ის საძიებო სისტემისთვის თემების, ვიზუალის, კონტენტის დამუშავება და სარეკლამო აქტივობების განსაზღვრა;
- მიმდინარე აქციებსა თუ პიარ კამპანიებზე სტატიების თემის დამუშავება, ტექსტების შექმნა, კორექტირება, ვიზუალურ მხარეზე მუშაობა, ტექნიკური (ბექ-ლინკების ჩაშენება);

**სმს კამპანიები:**

- დაბადების დღის, „შავი პარასკევის“ და ყოველთვიური აქციების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა გათვლილ სეგმენტთან, გაყიდვების ზრდა და რეპორტირება.
- პარტნიორი საიტები და კომპანიები, სადაც 2023 წელს სტატიები განთავსდა არასრული ჩამონათვალი: Palitra.ge; tia.ge. alia.ge, rustavi2.ge; imedinews, busenesstime.ge, marketer.ge, commersant.ge, heretifm.com, guranews.ge, primetime.ge, marao.ge. shin.ge, ambebi.ge, interpressnews.ge, Newposts.ge, google.com. mtavari.ge, formula.ge, newpress.ge, cavea.ge, intermedia.ge, allnews.ge, sporall.ge, amindi.ge, PIA.GE, METRONOME.GE, bomondi.ge, ok.ge, mshoblebi.ge, radiocommersant.ge, radiochveneburi.ge etc.

## ადმინისტრაციული მართვა და ფინანსები

### HR - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

HR ადმინისტრაციული პროცესების მართვა; ხელფასები/ბონუსები, Pay roll (განხილვა, ინიცირება); კომპანიის სტრატეგიული ინსტრუქციების შემუშავებაში მონაწილეობა; თანამშრომელთა დაკომპლექტება შერჩევა/მიღება; თანამშრომელთა ადაპტაცია (on boarding); ტრენინგი და განვითარება; მოტივაციის სისტემები; შეფასების სისტემები; კვლევა და ანალიტიკა (საჭიროებების განსაზღვრა, კმაყოფილების კვლევა, მომსახურების ხარისხის კვლევა);

ჩატარებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა

- 2023 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 100 თანამშრომელი, 2023 წელს სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანების რიცხვმა შეადგინა - 14 თანამშრომელი. სამსახურში აყვანილია 21 თანამშრომელი, გაფორმდა 192 შრომითი დოკუმენტი (კონტრაქტი/შეთანხმება).
- 2023 წლის 1 აპრილიდან მოხდა ხელფასების ცვლილება. ცვლილებები შეეხო ყველა თანამშრომელს ეტაპობრივად, ასევე სამოტივაციო სისტემის ფარგლებში მოხდა საბონუსე განაკვეთის ზრდა, გაყიდვებში ჩართული ყველა თანამშრომლისთვის.
- ადამიანური რესურსების მენეჯერმა მიერ მოამზადა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი - მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი, რომელმაც საწყის ეტაპზე მოიცვა „ფრონტის ხაზის“ თანამშრომლები.
- ჩატარდა სერვის+ ტრენინგი, რომლის ფარგლებში გადაეშადა 15 თანამშრომელი (“front” თანამშრომლები).
- თანაგადახდით დაფინანსდა MS Excel კურსი, რომლის ფარგლებში გადაეშადა 11 თანამშრომელი.
- მუდმივ რეჟიმში საჭიროებიდან გამომდინარე ტარდებოდა შიდა ტექნიკური ტრენინგები საცალო და საბითუმო გაყიდვების სამსახურის თანამშრომლებისთვის, ასევე თანამშრომლებს ჩაუტარდათ პროგრამული ტრენინგები;

- შრომის უსაფრთხოება - დასაქმებულებს წლის მანძილზე პერიოდულად ჩატარდა შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული ტრენინგები;
- კომპანიაში ასევე დანერგილია თანამშრომელთა წახალისება და სამოტივაციო აქტივობები, რომელიც დაკავშირებულია დიდ დღესასწაულებთან, ასევე ტარდება სპორტული, კულტურული, სოციალური აქტივობები, რაც ემსახურება გუნდის მოტივაციის, პასუხისმგებლობისა და კორპორაციული კულტურის ამაღლებას;

### იურიდიული სამსახური

კომპანია მოყვანილია მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულ შესაბამისობაში და მეწარმეთა შესახებ რეესტრში ახალი წესდება დარეგისტრირებულია.

2023 წელს გაფორმებული კონტრაქტების სტატისტიკა:

- გაყიდვა- დაახლ 150 ხელშეკრულება
- შესყიდვა- დაახლ 550 ხელშეკრულება
- სხვადასხვა შეთანხმებები და დოკუმენტები/მ.ჩ აქტები- დაახლ 1700 დოკუმენტი.

### სასამართლო საქმეები:

სამართალწარმოება #1

- შპს „ARTLINE WINGS“-ი შპს „საგა იმპექსის“ გადახდისუნარიობის საქმეში მე-6 რიგის აღიარებული კრედიტორია; ლიზინგზე - 1 386 618,22 ლარი და არისტონი - 1,834,426.98 ლარი, ჯამში - 3,221,045.2 ლარი. რეაბილიტაციის გეგმით გადასახდელია 2031-2032 წწ. 2023 წლის განმავლობაში აღნიშნულ საქმეში სხდომები ჩატარებულია.

სამართალწარმოება #2

- I ინსტანცია, მოსამზადებელი ეტაპი (გაერთიანებული საქმე)
- მოსარჩელე: შპს „საგა იმპექსი“, მოპასუხეები: სოლიდარულად ლელა კალანდია, შოთა აბხაზავა, შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“, შპს „ARTLINE WINGS“.
  - სასარჩელო (3) მოთხოვნა ჯამში -1 866 037 ლარი;
- მოსარჩელე შპს „ARTLINE WINGS“, მოპასუხე: შპს „საგა იმპექსი“
  - სასარჩელო მოთხოვნა: 2 430 357 ლარი;
- მოსარჩელე შპს „ARTLINE WINGS“, მოპასუხე: თავდები დავით კაკაბაძე,
  - სასარჩელო მოთხოვნა: 1 000 000 აშშ დოლარი;

გაიგზავნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საჩივარი მოსამართლე გოჩა დიდავასთან დაკავშირებით, მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის და მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის გამო;

### სამეურნეო სამსახური

- გაიხსნა 2 ახალი ფილიალი (ვარკეთილი, საბურთალო), წერეთლის ფილიალი გადავიდა ახალ ლოკაციაზე, შესაბამისად შესრულდა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები
- განახლდა ავტოპარკი - 4 ავტომობილით, გაიყიდა ამორტიზირებული და დაზიანებული ავტოსატრანსპორტი საშუალებები;
- საწყობისთვის დამოტაჟდა ახალი სტელაჟები, ელექტრო ამწევი კარი, შედეგად გაორმაგდა სათავსო ფართი. მოხდა ახალი პალეტების შეძენა პროდუქციის განსათავსებლად.
- სხვადასხვა ფილიალში განახლდა ღიაზაინი ან ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი;

- ცელსიუსი სამუშაო სივრცეები სრულად მოყვანილ იქნა შრომის უსაფრთხოება მოთხოვნილ სტანდარტებთან,

### **მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება**

- ცელსიუსი ოპერირებს საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა „1C ბალანსი“-თ, სულ 40 ვირტუალური ლიცენზია;
- ბაზების ადმინისტრატორის მთავარი მოვალეობაა პროგრამა „ბალანსის“ გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა, როგორც სერვერზე, ასევე თითოეული თანამშრომლის კომპიუტერში.
- ასევე ცელსიუსის საიტთან ინტეგრაცია „ბალანსთან“;
- ტრენინგები: მომზადდა სასწავლო ვიდეო მასალა ცელსიუსის ქსელის კონსულტანტებისთვის;
- ჩატარდა რამდენიმე ტრენინგ კურსი, რომლებშიც გადამზადდა მაღაზიის შედარებით ახალბედა კონსულტანტები;
- დეველოპმენტი - ბაზების ადმინისტრატორის მიერ ხდება პროგრამის დეველოპმენტი საწარმოს მოთხოვნების შესაბამისად, რომლითაც ინერგება ახალი მოდულები, რაც აადვილებს აღრიცხვას, ანალიზსა და საქმისწარმოებას;

### **IT სამსახური**

სამსახურის ფუნქცია-მოვალეობაა, კომპანია უზრუნველყოს უსაფრთხო, დაცული, შეუფერხებელი, კომფორტული და ტექნიკურად გამართული სამუშაო IT გარემოთი. უზრუნველყოს ინფორმაციის დაცულობა, კომპანია მოამარაგოს ყველა საჭირო ინვენტარით და ტექნიკით. IT სამსახურის თანამშრომლები იყვნენ მუდმივ განვითარებასა და გადამზადებაში.

2023 წელს IT სამსახურმა შეასრულა შემდეგი ძირითადი სამუშაო:

- დანერგა და წარმატებით იყენებს: მონიტორინგის სისტემებს PDQ Inventory და PDQ Deploy. მათი დახმარებით, IT სამსახური ბევრად უფრო სწრაფად და ზუსტად ადგენს ტექნიკის მდგომარეობას და ახდენს მათ ინვენტარიზაციას.
- ჩატარა განახლებითი სამუშაო, სერვისის და საცალო პროექტების სამსახურების პროგრამაზე (artlinewings.ge), მოახდინა პროგრამაში ახალი SMS პლათფორმის ინტეგრაცია.
- ორი ახალი მაღაზიის გახსნის (ვარკეთილი და საბურთალო) და წერეთლის ფილიალის რელოკაციისთვის, შეიძინა საჭირო ტექნიკა ჩატარა წინასწარი ტექნიკური და შემდგომი სისტემური სამუშაო. ასევე ჩატარა მოკვლევა ქუთაისის მაღაზიის ახალ ლოკაციაზე.
- ოთხ მაღაზიაში (ბელიაშვილი, წერეთელი, თელავი, ზუგდიდი) შეცვალა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ვიდეო უსაფრთხოების სისტემები, ახალი მ.ს.ს სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისი აპარატურით.

### **ფინანსების მართვა და აღრიცხვა**

- კომპანიაში საბუღალტრო და ფინანსური აღრიცხვა მიმდინარეობს IFRS-ის სტანდარტების დაცვით და ყველა ტრანზაქცია უმკაცრესად კონტროლდება.
- საგადასახადო კუთხით მონაცემთა დეკლარირება და ანგარისწორება მიმდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, კომპანიას არ აქვს საბიუჯეტო დავალიანებები;
- ფინანსური სამსახური ახორციელებს ფასების, სასაქონლო ნაშთების, რენტაბელობის და გეგმის შესრულების კონტროლს და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრულ მართვას. კომპანიას პრაქტიკულად არა აქვს ვადაგადაცილებული დავალიანებები.

- ყოველი თვის დასაწყისში ფინანსური სამსახური წარადგენს მენეჯმენტთან კომპანიის ფინანსური შედეგების ანგარიშს, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად აცხადებს ყოველი თვის გაყიდვების გეგმას.

**ძირითადი საქმიანობა:**

- კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის დებულების და ინსტრუქციების შემუშავება;
- კომპანიის წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად ფინანსური ბიუჯეტის დაგეგმვა, მომზადება და მისი მართვა;
- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და წლიური/თვიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი და კონტროლი;
- კომპანიის საქონლის ბრუნვის ანალიზი;
- კომპანიის დებიტორულ და კრედიტორული დავალიანებების მართვა და კონტროლი;
- კომპანიის ყოველი თვის გაყიდვების გეგმის დადგენა.
- ფინანსური ოპერაციების შესაბამისობის მონიტორინგი.
- ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა.
- რისკების შეფასება და პრევენცია

**რისკების მართვა**

კომპანიის ფინანსური მენეჯერის მიერ ხდება კომპანიის ამოცანების და მიზნების ფორმირება, გეგმებისა და ბიუჯეტის ფორმირება და შესრულების მონიტორინგი, რისკების მართვა, პროცესების სტანდარტიზაცია, კომპანიის ლიკვიდურობისა და ეფექტურობაზე ზრუნვა, შიდა აუდიტი.

რისკების მართვისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება:

- საპროგნოზო გეგმების შესრულების მონიტორინგს
- საკრედიტო ვალდებულებების შეუფერხებელ დაფარვას
- აღრიცხვის და ანგარიშგების სიზუსტეს და ფულადი ნაკადების მკაცრ მონიტორინგს
- საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს
- მომწოდებლებთან საუკეთესო პირობების მიღებას
- იურიდიული რისკების მართვას

**სარისკო საკითხების განხილვა მენეჯმენტის მიერ**

კომპანიაში დაგეგმილია რისკების შეფასების და მონიტორინგის პრაქტიკა, რომელიც ფასდება შიდა და გარე ფაქტორთა მონაცემთა დეტალური ყოველთვიური ანალიზის საფუძველზე; ხდება რისკების იდენტიფიცირება და შეფასება ბიუჯეტირებისას, გამოიყენება მოდელირება და სტრეს-ტესტირების მეთოდები.

კომპანია ახდენს შემდეგი რისკების შეფასებას:

- ფინანსური სტაბილურობის შემცირების (ლიკვიდობის) რისკი.
- საინვესტიციო რისკი;
- ინფლაციის/დეფლაციის რისკი;
- საპროცენტო რისკი/სავალუტო რისკი/საკრედიტო რისკი
- საგადასახადო/საკანონმდებლო რისკი.
- სტრუქტურული რისკი
- კრიმინოგენური რისკი
- პოლიტიკონომიკური და "ფორს-მაჟორული რისკები".

ფინანსური რისკების კონტროლის პროცესში, მათი მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია ადრე მიღებული მენეჯმენტის გადაწყვეტილებების კორექტირება, რაც მიზნად ისახავს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭირო დონის მიღწევას.

საწარმოს ფინანსური რისკების მონიტორინგი შემდგომში მდგომარეობს:

- საოპერაციო რისკის მონიტორინგი
- ფინანსური რისკების გამომწვევი ფაქტორების მონიტორინგი;
- შესაძლო განეიტრალების ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ბიუჯეტის მონიტორინგი;
- სარისკო სიტუაციების დადგომის გამო შესაძლო ფინანსური ზარალის გამოთვლა;
- ფინანსური რისკების შესამცირებლად ღონისძიებების ნაკრების შემუშავება;

მენეჯმენტის მკაცრი მიდგომა აუცილებელია შრომითი ანაზღაურების ხარჯების, საიჯარო ხარჯების სასაქონლო ნაშთების, ფასებისა და ბაზარზე კონკურენციის კონტროლი; მენეჯმენტი მუდმივად ამოწმებს მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან არსებული ხელშეკრულების პირობებს, გადახრების მონიტორინგს დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილში;

2023 წლის პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი რისკები, რომელთა შეფასება და დაძლევა მოხდა ნაწილობრივ, თუმცა საბოლოო მოგებაზე გავლენა მაინც მოახდინა და 2023 წელი ზარალით დაიხურა, კერძოდ:

- 1) ბიზნესის (ცელსიუსის) ქსელი გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელმაც გადააჭარბა დაგეგმილს (სარემონტო მასალების და მომსახურების ფასების მკვეთრი ზრდის გამო)
- 2) საიჯარო ქირის ზრდა (ინფლაციისა და ხელშეკრულებების ვადის ამოწურვის გავლენა)
- 3) თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების მატება, რაც განპირობებული იყო ბაზრის მკვეთრ მოთხოვნასთან (საშუალო ხელფასის ზრდა ინფლაციის გამო)
- 4) კადრების გადინება (ემიგრაციის ღონის მატებასთან)
- 5) გაგრილების (კონდიციონერების) პროდუქციის სეზონის ბოლოს შემოტანა, რაც შეიცავდა საქონლის „ჩაწოლის“ საფრთხეს;

### **საყურადღებო საკითხები:**

ამ ეტაპზე კომპანიას აქვს ერთი მნიშვნელოვანი საყურადღებო საკითხი - სასამართლო დავა შპს „საგა იმპექსთან“. მიუხედავად იმისა, რომ დავები მხოლოდ საწყის ეტაპზეა, და დავების დასრულებამდე 3-5 წელია, სასარჩელო მოთხოვნების მოცულობა საკმაოდ დიდი ოდენობაა, ამიტომ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საჭიროა ამ რისკების გადაზღვევა და ბიზნესის სტაბილურობისთვის გარკვეული გარანტიების შექმნა.

მიუხედავად აღნიშნული საყურადღებო საკითხისა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიას გააჩნია ბიზნესის სტაბილურად მზარდი დინამიკა, საკმაოდ მოცულობითი აქტივები, გამართული მმართველობითი სტრუქტურა, ადრიცხვა-ანალიზის მკაცრი სტანდარტი და მაღალი დონის მენეჯმენტი; აღნიშნული გარემოებები განაპირობებს საწარმოს აქტიურ განვითარებას და ახლო მომავალში საწარმოს გადახდისუნარიობის რისკი არ არსებობს.

### **KPI - ეფექტურობის საკვანძო ინდიკატორები**

გაყიდვების KPI

- გაფორმებული ახალი კონტრაქტების რაოდენობა პერიოდზე - 700

- კონტრაგენტების რაოდენობა - 7616
- სასაქონლო ზედნადებების რაოდენობა - 16534
- გაყიდვების ჯაჭვში ჩართული კვალიფიციური ლიდერების რაოდენობა - 22
- წმინდა გაყიდვები – 21,8 მლნ, პროცენტული ზრდა წინა წელთან შედარებით - 15%
- მომხმარებელთა მომსახურების კმაყოფილების დონე - 99,9%
- ბაზრის წილის პროცენტი -15%

#### მარკეტინგის KPI

- ვებსაიტის ტრაფიკი - 324 000
- საშუალო ჩართულობის ზრდა - 300%
- ვებსაიტის ტრაფიკი სოციალური მედიიდან - 74%
- მომხმარებელთა საშუალო წლიური მოცვა სოცქსელებში 15.1 მლნ
- პოსტების გამომხმარებლის საშუალო რაოდენობა - 751 ათ.

#### ოპერაციული KPI

- შეკვეთის შესრულების დრო - 48 სთ
- დროული მიწოდების რაოდენობა - 100%
- ტრანსპორტირების ტარიფი - შესყიდული პროდუქციის ღირებულების 4%
- სასაქონლო მარაგების ბრუნვა - 130 დღე
- საშუალო ხელფასი - 2055 ლ
- თანამშრომელთა ბრუნვის მაჩვენებელი - 14%
- აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლის სიზუსტე - 99,9%
- კანონთან შესაბამისობაზე ზრუნვა - 99,9%

#### ფინანსური მაჩვენებლები 2023

- შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან- 21 753 543 ლარი
- გაყიდვის თითღირებულება - 15 358 455 ლარი
- საერთო მოგება - 6 377 088 ლარი
- მარჟა ბრუნვიდან - 29,3 %
- საოპერაციო ხარჯები - 6 028 911 ლარი
- **EBITDA – 348 177 ლარი**
- **წმინდა მოგება - (1 202 364) ლარი**
- აქტივები წლის დასაწყისში - 16 665 363 ლარი
- აქტივები წლის ბოლოს - 20 265 467 ლარი

#### საკრედიტო პორტფელი 2023 წლის ბოლოს:

- სს ტერა ბანკი: საბანკო გარანტია - 330 000 EUR (არისტონი)
- სს თიბისი ბანკი:
  - სესხი #1 - 1 170 628.56 EUR
  - სესხი#2 - 521 498.69 EUR
  - საბანკო გარანტია - 420 000 EUR (არისტონი)
- სესხი დამფუძნებლისგან - 3 615 656.94 USD

#### სხვა ფინანსური მაჩვენებლები:

| Ratio Analyses              | Calculation |
|-----------------------------|-------------|
| Current ratio               | 3.9         |
| Quit ratio                  | 2.4         |
| Cash ratio                  | 21%         |
| Accounts Payable Turnover   | 3.1         |
| Total Assets Turnover ratio | 1.1         |
| DSO                         | 84          |
| Debit ratio                 | 29.6%       |
| Equity ratio                | 12%         |
| gross Profit Margin         | 30%         |
| Operating Profit Margin     | 2%          |
| Net Margin                  | -1%         |
| (ROA)Return on Total Assets | 2%          |

2023 წლის ფაქტობრივი მონაცემების შედარება საპროგნოზო მონაცემებთან

| Year - 2023    | Forecasted | Fact       | Difference  | Ratio  |
|----------------|------------|------------|-------------|--------|
| Incomes        | 23 728 814 | 21 735 543 | (1 993 271) | -8.4%  |
| Gross Margin % | 29%        | 29.3%      | 0.3%        | 1%     |
| Gross Profit   | 6 881 356  | 6 377 088  | (504 268)   | -7.3%  |
| OPEX           | 5 934 821  | 6 028 911  | 94 094      | 1.6%   |
| EBITDA         | 946 535    | 348 177    | (598 358)   | -63.2% |

## ახალი პროექტები

### სასტუმრო ბათუმში

სასტუმროს მშენებლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა 2023 წელს, სულ სასტუმროს მშენებლობაზე დახარჯულია 3 198 783 ლარი, რომელიც ფინანსდება დამფუძნებლის ინვესტიციებით.

იგეგმება 4\* სასტუმროს გახსნა 2024 წლის შემოდგომაზე, რომლისთვისც უნდა შეირჩეს საერთაშორისო მმართველი კომპანია

მონაცემები:

- მიწის ფართობი: 2186 კვ.მ
- შენობის ფართობი: 4500 კვ.მ
- შენობის ფუნქციონალი: სასტუმრო, ნომრების რაოდ 34, ლაუნჯ-ბარი და რესტორანი, სპა-ცენტრი, ავტოსადგომი, სამეურნეო და სათადარიგო დანიშნულების ფართები;
- საორიენტაციო შემოსავლები წლიურად: 1 მლნ ლარი, EBITDA – 15-18%

### ბიზნეს-ცენტრი:

2022 წლის ბოლოს არტლაინ ვინგსის მიერ შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა აშენდეს თანამედროვე ბიზნეს-ცენტრი, სადაც განთავსდება „ცელსიუსის“ სათავო ოფისი და ცენტრალური შოურუმი, ხოლო დანარჩენი ფართი გამიზნული იქნება გასაქირავებლად ოფისებისთვის; დაწყებულია პროექტირება.

მიწის შეძება მოხდა საკრედიტო პორტფელით, რომელსაც ფარავს „ცელსიუსი“. ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც დასრულდება 2028 წელს და კომპანიას მისცემს დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებას უძრავი ქონების გაქირავების გზით;

- მიწის ფართობი: 2115 კვ.მ
- შენობის ფართობი: დაახლოებით 7500 კვ.მ
- შენობის ფუნქციონალი: კომერციული დანიშნულების შოურუმები, ოფისები, საკონფერენციო და შეხვედრების ოთახები, რესტორანი;
- საორიენტაციო შემოსავლები წლიურად: 2,5 მლნ ლარი, EBITDA – 80%

პატივისცემით,

“ARTLINE WINGS“-ის დირექტორი

თამარი მაჩიტაძე

თ. 



## ახალი პროექტები

### სასტუმრო ბათუმში

სასტუმროს მშენებლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა 2023 წელს, სულ სასტუმროს მშენებლობაზე დახარჯულია 3 198 783 ლარი, რომელიც ფინანსდება დამფუძნებლის ინვესტიციებით.

იგეგმება 4\* სასტუმროს გახსნა 2024 წლის შემოდგომაზე, რომლისთვისც უნდა შეირჩეს საერთაშორისო მმართველი კომპანია

მონაცემები:

- მიწის ფართობი: 2186 კვ.მ
- შენობის ფართობი: 4500 კვ.მ
- შენობის ფუნქციონალი: სასტუმრო, ნომრების რაოდ 34, ლაუნჯ-ბარი და რესტორანი, სპა-ცენტრი, ავტოსადგომი, სამეურნეო და სათადარიგო დანიშნულების ფართები;
- საორიენტაციო შემოსავლები წლიურად: 1 მლნ ლარი, EBITDA – 15-18%

### ბიზნეს-ცენტრი:

2022 წლის ბოლოს არტლაინ ვინგსის მიერ შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა აშენდეს თანამედროვე ბიზნეს-ცენტრი, სადაც განთავსდება „ცელსიუსის“ სათავო ოფისი და ცენტრალური შოურუმი, ხოლო დანარჩენი ფართი გამიზნული იქნება გასაქირავებლად ოფისებისთვის; დაწყებულია პროექტირება.

მიწის შეძება მოხდა საკრედიტო პორტფელით, რომელსაც ფარავს „ცელსიუსი“. ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც დასრულდება 2028 წელს და კომპანიას მისცემს დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებას უძრავი ქონების გაქირავების გზით;

- მიწის ფართობი: 2115 კვ.მ
- შენობის ფართობი: დაახლოებით 7500 კვ.მ
- შენობის ფუნქციონალი: კომერციული დანიშნულების შოურუმები, ოფისები, საკონფერენციო და შეხვედრების ოთახები, რესტორანი;
- საორიენტაციო შემოსავლები წლიურად: 2,5 მლნ ლარი, EBITDA – 80%

პატივისცემით,

„ARTLINE WINGS“-ის დირექტორი

თამარი მაჩიტაძე